საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/174

ქ. ბათუმი 03 დეკემბერი, 2018 წ.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის (ინდოეთის მოქალაქეების ე.წ. მე-7 ნაკადის) 2018-2019 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №64 დადგენილების (ცვლილება N113 დადგენილება), ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 29 ნოემბრის MES 5 18 01524591 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 04 სექტემბრის №01-09/451 ბრძანებით ჩარიცხული სტუდენტებისათვის (ინდოეთის მოქალაქეების ე.წ. მე-7 ნაკადის) ორგანიზებულად წარმართვის მიზნით 2018-2019 სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი დაიწყოს 2018 წლის 03 დეკემბერს და დასრულდეს 2019 წლის 23 მარტს;

ბ) შემოდგომის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 25 მარტიდან 30 მარტის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია -2019 წლის 01 აპრილიდან 06 აპრილის ჩათვლით;

გ) გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი დაიწყოს 2019 წლის 08 აპრილს და დამთავრდეს 20 ივლისს;

დ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 22 ივლისიდან 03 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2019 წლის 05 აგვისტოდან 10 აგვისტოს ჩათვლით.

2. ბრძანება (ინგლისურენოვან თარგმანთან ერთად) გამოქვეყნდეს ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე, ხოლო ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების საჯარო გამოცხადების გზით სტუდენტებისათვის გაცნობა.
3. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**